


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობიც ბეჭდ-  
უჭი სიფყვას, ფედილებით და ჭებებით ბუბ-  
თის გატანა ყველა უყადრისმბაჭე უსამბაგლესია.



პარასკევი, 29 ივლისი. 2016 წ. №140 (8032), გამოცემის 98-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.



## სხელ გულზე...

**ბატონო ელჩო!**  
თქვენი ქვეყნის ჭაუმაჩიბი  
მეგობრები ისინი არიან,  
ვინც პირში  
გაუზნება სიმაართლას...

2



## ბოზი ნაცი,

ანუ ბამბუკმას იცის, რომ ბოზი  
ბოზობას არ მოიშლის

ციკლიდან – „წერილები მაგნოლიების ქალაქიდან“

5

### SOS:

რას ეწირება ახალგაზრდების სიცოცხლე?!



6

**შინაგან საქმეთა სამინისტრო  
გზებზე კონტროლის  
გამკაცრებას აპირებს**


### კარგი ამბების არის მრავლობა...

- უპრესენტო მასშტაბის ინვესტიცია: საქართველოში ახალი სპორტული ობიექტები აშენდება
- „ზარაფხანა“ სამკაულის შექმნის უძველეს ხელოვნებას აღადგენს
- მინის რეგისტრაცია მარტივდება, სანოტარო მომსახურება უფასო იქნება

4

კოლეგა ბრაზილიაში  
მეგობრავრება

**რიოშიც ნარკოტიკის  
იქვედით**



7

რას ვჭამთ და  
როგორ ვიშოსავით?


**რატომ არ არის  
ჩვენში  
განსაზღვრული  
საკვების  
რეალური  
უიზიოლოგიური  
ნორმა?!**

6

**უფალა  
შეაქლებინოს!**

7

**გირეკავენ  
და სახლში  
არა ხარ...**



**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვებან ვერ ნახავ!..**

# სხელ გულზე...

## გატომო ელჩო! თქვანი ჟვეინს ჟვემარობი მემოგრაფი ისინი არიან, ვინც პირში გაუხვებთ სიპართლას...

„ამერიკის ნამდვილმა მემოგრაფმა“ წერილით მიმართეს აშშ ელჩს.

საბუღლისხმო ნაბიჯია. ტექსტიც მართლა ნამდვილი მემოგრაფის ნაბიჯია. „ცხელ გულზე“ ცოტას ვიც დასავაბათავდი: აშშ ახლანდელ ელჩს, ისევე, როგორც ადრინდელს არც გამოცდილება აკლია და პოლიტიკელოგობის სიკმაოდ განაფულია... და მიუხედავად ამისა, ეს ერთობ გამოცდილი, მაღალი რანგის დიპლომატი (და ნინამორბედებიც) მაინც უშვებს შეცდომებს... რა თქმა უნდა, თუ ეს შეცდომება არა... მოქმედების ტრადიციული, ამერიკული სტილი.

ტონალობას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთული ტემპერამენტის ქვეყნებში, ეტყობა, ეს კარგად არ აქვს ბატონ ელჩს გათვითცნობიერებული.

არც ის, რომ განსაკუთრებული ობიექტურობაც მაქსიმალურად ჭირდება, მით უმეტეს საჯარო გამოსვლებისას!

არც ის, რომ მისი და საელჩოს გარდა, სხვა გზები და წყაროებიც არსებობს ვაშინგტონამდე ამბის ობიექტურად მიტანა-გაგზავნისთვის! (მხოლოდ მედიას და ჟურნალისტებს არ ვგულისხმობ!) ის რომ სახელმწიფო სტრუქტურებში (არა მარტო შტატებში და არა მარტო საელჩოებში) ძირითადად ჩვეულებრივი, ნორმალური, გამოცდილი კადრების პარალელურად გვხვდებიან საკმაოდ შუბლუდული აზროვნების და ინტელექტუალური შესაძლებლობების ადამიანები, ესეც არ უნდა იყოს აღმოჩენა (ამ მხრივ, არც აშშ-ის თბილისის საელჩოა გამონაკლისი) და, რა თქმა უნდა, როგორც ყველა ადამიანი (მათ შორის ნიჭიერებიც და უნიჭონიც), დაზღვეულები არ არიან შეცდომებისგან. ამაზე არაერთი ფაქტი, თუნდაც, შავი !! სექტემბრის და მსგავსი უბედურებების გარდა, აგერ, ახლანდელი თურქეთის არშემდგარი პუტრიც მტყვევლებს.

ერთხელ ხომ კიდევ დავინახეთ, რომ „კოკას ყოველთვის არ მოაქვს წყალი“. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს კოკა ხელში შენს განკრთნილ-დაკვლიანებულ მეგობარს უჭირავს. მეგობარს, რომელსაც ერთგულეზა და თანამდებობა (მაგ, რომელიმე ძალოვანი სტრუქტურის შეფი, ან, დიდი სასამართლოს ბოსი...) არ აკლია, მაგრამ მთლად ბოლომდე ჭკუით ვერ ქაჩავს... მთავარი მაინც შედეგია! შედეგია!!! და გადამწყვეტი ამ შემთხვევაში მარიონეტების პოზიცია, ძალია და დაპირებები კი არ არის, არამედ ხალხის პოზიციაა – იდეით გაერთიანებული, ერთ მუშტად შეკრული რა ძალია, რა მასა გამოვა ქუჩაში, ვინ



და რამდენი დაუნევა უშიშრად ტანკს და ეტყვის „არას“ ნებისმიერ ჯგუფს, რომელსაც არ ამოძრავებს სამშობლოს გადარჩენის და მისი ნათელი მომავლის ყველაზე მაღალი და წმინდა იდეა!

იგივე თურქეთის, თუნდაც ეგვიპტის, უკრაინის და სხვა ბოლოდროინდელი მოვლენები ამ მოსაზრების დასტურია. იგი სხვა ტენდენციასაც მიგვანიშნებს: შეუიარაღებელი თვალთაც კი შესამჩნევია, რომ ზოგიერთ პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტურ ქვეყანაში ნელ-ნელა, კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც იზრდება ანტიამერიკული განწყობები... და ამის ერთ-ერთი მიზეზი, ეგებ, ის მოსშირებულ ულტიმატუმები და მთლად ვერგანონასნორებული განცხადებებია, რომლითაც დიდი ქვეყნის სიძლიერით გათამამებული ზოგიერთი დიპლომატი თბილისშიც, ბრიუსელშიც, ბერლინშიც, ვაშინგტონშიც ძველი ცივილიზაციის და ისტორიის მქონე ქვეყნების საზოგადოებას მოურიდებლად მოძღვრავს!

გვესმის, რომ გვეხმარებით. ამისთვის დიდად მაღლობელი ვართ. მაგრამ... ზოგჯერ, ვგონებ, ნამეტნავად მოსდით „ჭკუის სწავლება“, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ანბანურ ჭეშმარიტებებს ეხება... ამერიკის სხვა მეგობრებმა (მთავრობამ, დეპუტატებმა, პოლიტიკარტებმა, ამერიკული ინვესტიციებით „მოსუქებულმა“ ბიზნესმა და...), თუ ისინი ნამდვილი მეგობრები არიან და, ასევე, ნამდვილ მეგობრებად მიიჩნიათ დასავლეთის ქვეყნები, ეს უნდა აუხსნან აშშ-ის ელჩს. და არა მარტო მას: დიდი ბრიტანეთისას, გერმანიისას, საფრანგეთისას... ისიც „საიდუმლოდ“ უნდა გაანდონ მათ, რომ ვეროკავშირთან, „ნატოსთან“, ვიზალიბერალიზაციის პრობლემებთან დაკავშირებული დაპირებები უკვე ანგელოტების თემა და ეს „ლიმილი“ დაუფარავად უკავშირდება წარსულის მწარე გამოცდილებას, იმას, თუ როგორ არაერთგზის „გადააგდეს“ დასავლეთელმა მოკავშირე „მეგობრებმა“ გულზე ხელისბრაგუნით მოცემული დაპირებებით დაიმედებულ ქართველი საზოგადოება.

ისიც უნდა აუხსნან, რომ ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს არ უნდა მოტყუებულის როლში ყოფნა, მისი სწრაფვა ევროპისკენ გულწრფელია. მაგრამ მისი ისტორიული მახსოვრობაც არ მოჩლუნგებულა. ამას ხელს უწყობს უაზროდ განელილი „დაპირებების“ პროცესიც, რომელიც მტკივნეულად აცოცხლებს ერთი საუკუნის წინანდელი მოვლენებს, რომელთაც დაამხეს დამოუკიდებელი საქართველო.

ეს არავის დავინწყებია, ისევე როგორც, ვერასოდეს დავინწყებთ 2008 წლის აგვისტოს რუსულ გაჯეჯილებას.

თქვენო აღმატებულებავ, ბატონი ელჩო! გულწრფელი პატივისცემით და დაუფარავი სიმპათიების გამოსატყუთ მინდა, დაგარწმუნოთ, რომ თქვენი ქვეყნის ჭეშმარიტი მეგობრები ისინი არიან, ვინც პირში გეუბნებით სიმართლეს, რაც უნდა მწარე იყოს იგი... ასეა ეს! („დათა თუთაშხია“).

ნუზარ ფოფხაძე



## თვა წულუკიანი: „ქართულმა ოცნებამ“ უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ერთად აღებულმა არაერთმა მთავრობამ წარსულში. ეს გახლავთ რესურსიანი „ქართული ოცნება“ როგორც პოლიტიკური მმართველი პარტია, ამიტომ თუკი რომელიმე მინისტრი, იქნება ეს „რესპუბლიკური პარტიდან“ უპარტიო მინისტრი, როგორც მე გახლავართ, იქნებოდა შეცვლილი, რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებას“ როგორც რესურსიან პარტიას ექნება იმის საშუალება, რომ არანაკლებ კონკურენტული კადრი დაასახელოს შემცვლელად,“ – განაცხადა თვა წულუკიანი.

იუსტიციის მინისტრი თვა წულუკიანი მიიჩნევს, რომ „რესპუბლიკელი“ მინისტრების ჩანაცვლება მმართველი გუნდიდან პრობლემას არ წარმოადგენს. მისი შეფასებით, „ქართულ ოცნებას“ ამის კარგი რესურსი გააჩნია. „ქართული ოცნება“ არის პარტია, რომლის მთავრობამ სხვადასხვა შემადგენლობით 4 წლის მანძილზე უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ერთად აღებულმა არაერთმა მთავრობამ წარსულში. ეს გახლავთ რესურსიანი „ქართული ოცნება“ როგორც პოლიტიკური მმართველი პარტია, ამიტომ თუკი რომელიმე მინისტრი, იქნება ეს „რესპუბლიკური პარტიდან“ უპარტიო მინისტრი, როგორც მე გახლავართ, იქნებოდა შეცვლილი, რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებას“ როგორც რესურსიან პარტიას ექნება იმის საშუალება, რომ არანაკლებ კონკურენტული კადრი დაასახელოს შემცვლელად,“ – განაცხადა თვა წულუკიანი.

## ნინო გურჯანაძე: საბჭოთა კავშირი შეიძლება ერთგულად ენაბრებოდეს!

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო გურჯანაძის განცხადებით, უფროსი თაობის უმრავლესობა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრეა, თუმცა მათ საბჭოთა კავშირი არ ენატრებათ.

„ნუ აკადრებთ თქვენს უფროს თაობას რომ მათ ახსოვთ და ენატრებათ საბჭოთა კავშირი. ეს ის თაობაა რომელიც იბრძოდა საბჭოთა კავშირის დასანგრევად და რომელმაც ამ ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუტანა. საბჭოთა კავშირი შეიძლება ენატრებოდეს ერთგულად, მაგრამ უფროსი თაობის უმრავლესობა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრეა არა იმიტომ რომ საბჭოთა კავშირი ენატრება, არამედ იმიტომ რომ ამ თაობას რეალური ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს. ისინი უფრო ცივი გონებით და სალი თვალთა უყურებენ საქართველოს პრობლემებს,“ – განაცხადა ნინო გურჯანაძემ გუშინ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხზე ზვიად ავალიანის თოქ-შოუ „არგუმენტების დროში“.

## ვლადიმერ პუტინმა ყირიმის ფედერალური ოლქი სამხრეთის ფედერალურ ოლქს მიუერთა. ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახური ავრცელებს. ამასთან, ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილებით, სამხრეთის ფედერალურ ოლქში მის სრულყოფილებას წარმომადგენლად ვლადიმერ უსტინოვი დარჩა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა ყირიმის ანექსია 2014 წლის მარტში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად მოახდინა, რომლის ლეგიტიმურობას გაეროს წევრი ქვეყნების უმრავლესობა არ აღიარებს. ნახევარკუნძულის მიერთებისთანავე რუსეთმა ყირიმის ფედერალური ოლქი შექმნა. სწორედ ყირიმის მიერთება გახდა რუსეთის წინააღმდეგ პირველი საჩქივების დანესების მიზეზი.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის „ანრის“ კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიებას დაესწრო. ზურაბ პატარაძემ მომავალ მეზღვაურებს სასწავლებლის დამთავრება მიულოცა.

დღეიდან სასწავლებლის 14 კადეტი უკვე დიპლომირებულია, რასაც სასწავლებელი საზეიმოდ აღნიშნავს საზღვაო ქალაქის საზოგადოებასთან ერთად. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ კურსდამთავრებულ კადეტებს სწავლის დასრულება მიულოცა და მეზღვაურის პროფესიის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

„ბათუმი და ზოგადად აჭარა საზღვაო რეგიონია და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული პროფესიების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ მეზღვაურობა საკმაოდ რთული პროფესიაა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ეკონომიკური ეფექტიც, რომელიც ამ საქმიანობასთანაა დაკავშირებული და რომელიც წლიურად მინიმუმ მილიარდ დოლარზე გადაის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსოფლიო შრომით ბაზარზე ქართველ საზღვაო ოფიცრებსა და მეთაურთა შემადგენლობაზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია. ამ ყველაფერს სჭირდება

## ზურაბ პატარაძე, მომავალ მეზღვაურებს!



კარგი და თანამედროვე საგანმანათლებლო ბაზის შექმნა და მოხარული ვარ, რომ ამ მიმართულებით რეგიონი მზარდი ტემპებით ვითარდება. მინდა, მივულოცო კადეტებს ბაკალავრიატის კურსის დამთავრება და ზურაბის ქარი გუსურგო მათ.“ –

# სტივენ ბლენკი: ნატო უკრაინის აკვატორიაში საკუთარი პოზიციის დასაცავს ვეღარ შეძლებს

თურქეთში მიმდინარე მოვლენები აჩვენებს კითხვას, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ანკარის ურთიერთობა რუსეთთან, კავკასიისთან და ნატოსთან. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფონზე, რომ ქვეყნის ჯარი შესაძლოა, დასუსტებულიყო ცოტა ხნის წინათ მომხდარი გადატრიალების მცდელობის შემდეგ.

ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ ვაშინგტონში ექსპერტებს ესაუბრა იმაზე, თუ რას შეიძლება ველოდეთ აგვისტოში რუსეთ-თურქეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ.

„რენდის კორპორაციის“ უფროსი პოლიტიკური მიმომხილველი სტივენ ფლანგენი ამბობს, რომ ახლო მომავალში თურქეთსა და ნატოს შორის ურთიერთობების შეცვლის პერსპექტივას ვერ ხედავს. „ნატოს სურს, რომ თურქეთი ალიანსის სრულფასოვანი წევრი იყოს არა მხოლოდ ტერიტორიის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ სხვა საერთაშორისო მისიებებშიც“, — აცხადებს სტივენ ფლანგენი. ექსპერტს მიაჩნია, რომ ნატო გააგრძელებს თურქეთის მხარდაჭერას. „არავინ საუბრობს იმაზე, რომ თურქეთი რამენაირად დაისაჯოს მიმდინარე მოვლენების გამო. დღეისთვის ინჯირლიკის სამხედრო ბაზაც სრულ სამუშაო რეჟიმშია და იქიდან „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ოპერაციები გრძელდება“. მისი თქმით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკასა და თურქეთს შორის ურთიერთობა უცვლელი რჩება. თუმცა, „რენდის კორპორაციის“ მკვლევარის თქმით, სრულად განსხვავებული მდგომარეობაა რუსეთთან მიმართებაში: გასული წლის ნოემბერში, თურქეთის საჰაერო ძალების მიერ რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოგდების მიუხედავად,

ვად, პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანსა და პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს კვლავ საკმაოდ ახლო პერსონალური ურთიერთობა აქვთ (როგორც ცნობილია, თავის დროზე ვლადიმირ პუტინმა თურქეთის მოქმედებას „ზურგში მახვილის ჩაცემა“ უწოდა, მოგვიანებით კი, როცა თურქეთმა „ბოდიში მოიხადა“, სიტუაცია გაუმჯობესდა).

სტივენ ფლანგენი ამბობს, რომ რეჯეპ ერდოღანი მოსკოვთან ურთიერთობის გამოსწორებას ეცდება: „რუსეთს და თურქეთს ამ ეტაპზე ერთმანეთი სჭირდებათ. რუსეთისთვის თურქეთი მნიშვნელოვანი ბაზარია ენერჯორესურსების თვალსაზრისით. თურქეთს კი ეს ენერჯორესურსები სჭირდება“, — ამბობს ექსპერტი. თუმცა, „დიდ პრობლემად რჩება სირიასთან დაკავშირებული განსხვავებები. რუსეთის პოლიტიკა სირიაში პირდაპირ ეწინააღმდეგება თურქეთის პოზიციას. ამიტომ აგვისტოში დაგეგმილ მათ შეხვედრაზე საუბარი, სავარაუდოდ, ძირითადად ეკონომიკაზე იქნება“.

„ამერიკის საგარეო პოლიტიკის საბჭოს“ მკვლევარი სტივენ ბლენკი ამბობს, რომ ვლადიმირ პუტინი „რეჯეპ ერდოღანის ფანტაზიას“ თურქეთის რეგიონულ ენერჯორესურსებზე გააქვცევასთან დაკავშირებით ხელს გარკვეულ ეტაპამდე შეუწყობს. კრემლი ამას ანკარასთან ურთიერთობის დასათბობად გააკეთებს, თუმცა საკუთარ ინტერესებს ყოველთვის წინა პლანზე დააყენებს. სტივენ ბლენკს მიაჩნია, რომ მარცხით დამთავრებული სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ რეჯეპ ერდოღანის მიერ სამხედრო მალაჩინოსების დაპატიმრებამ თურქეთის ჯარი მორალურად დათრგუნა და მნიშვნელოვნად და-



ასუსტა. რუსეთი ამით ისარგებლებს და შავი ზღვის აუზში პოზიციებს გაიმყარებს.

სტივენ ბლენკის თქმით, „რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები არ გაზრდილა, თუმცა თურქეთისა შემცირდა. თურქეთმა შავი ზღვის აუზში პოზიციების გამყარება სცადა ან ბალკანეთს, უკრაინას და კავკასიას რაიმე სახით დაემუქრა, ნატოს შეკავების ნაკლები შექაჩვითი ექნება“. ექსპერტი ამბობს, რომ მონროს ხელშეკრულების თანახმად, თურქეთი შავ ზღვაში მშვიდობის დროს სამხრეთიდან სამხედრო გემების შესვლას აკონტროლებს. ბლენკს მიაჩნია, რომ თურქეთი ეკონომიკურად რუსეთისკენ გადაიხარა და ამავე დროს, ჯარში არსებული სისუსტეები ვერ დაძლია, არ არის გამოირჩეული „შავ ზღვაში უფრო მეტი რუსული გემი შევიდეს. ამის შემდეგ, ნატო შავი ზღვის აკვატორიაში საკუთარი პოზიციის დაცვას ვეღარ შეძლებს“.

სტივენ ბლენკის აზრით, აგვისტოში დაგეგმილ შეხვედრაზე, რომელიც სანქტ-პეტერბურგში უნდა გაიმართოს, ვლადიმირ პუტინი რეჯეპ ერდოღანს ეკონომიკურად მომხიბლავ პირობებს შესთავაზებს. ამაში შეიძლება შედიოდეს განსხვავებული „სამხრეთის ნაკადის“ შე-

სახებ მოლაპარაკების განახლება, ან „თურქეთის ნაკადის“ მხარდაჭერა. ექსპერტს მიაჩნია, რომ ანკარის მოსკოვთან დაახლოება კავკასიაში თურქეთის გავლენას შეამცირებს.

„რუსები მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო გეგმას იმუშავებენ, რომლის დეტალურიც ამ დროისთვის უცნობია. ანკარამ შესაძლოა, მოსკოვს ამ გეგმაში მხარი დაუჭიროს. თურქეთის დასუსტება და რუსეთისკენ გადახრა არც საქართველოს აწყობს. დასუსტებული თურქეთი საქართველოს მხარდაჭერასაც შეამცირებს. ეს კი თბილისს არც ეკონომიკურად აწყობს და არც პოლიტიკურად“, — ამბობს სტივენ ბლენკი.

რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაღრმავება ამ ეტაპზე შესაძლოა, ყველაზე მეტად რუსეთს აწყობდეს. საერთაშორისო ეკონომიკური სანქციებისა და პოლიტიკური იზოლირების ფონზე, რუსეთს გავლენიანი მოკავშირეები სჭირდება. თურქეთი ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა. შეცვლის თუ არა ეს დინამიკა თურქეთის ურთიერთობას დასავლეთთან, განსაკუთრებით ნატოსთან და ამერიკასთან, მომავალი რამდენიმე თვის განმავლობაში გამოჩნდება.

## ირაკლი ბათიაშვილი ბურჯანაძისგან ნაპიდა და პოლიტიკიდანას

### ექსკლუზიური ინტერვიუ უკვე ყოფილ პოლიტიკოსთან ირაკლი ბათიაშვილთან

ცნობილი გახდა, რომ ირაკლი ბათიაშვილი ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური გუნდი დატოვა. მისი მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმის შესაძლო მიზეზებზე „მეტრონომი“ ირაკლი ბათიაშვილს დაუკავშირდა. როგორც მან „მეტრონომს“ განუცხადა, მთავარი მიზეზი არის ის, რომ მას სურვილი არ აქვს ჩაერთოს საარჩევნო მართონში. ბათიაშვილის განცხადებით, მისი ამ პროცესებში ჩართვის პოლიტიკური მიზეზს ვერ ხედავს.



„მე დაკავებული ვარ სამეცნიერო მუშაობით და ლექციებით, წიგნის წერით და ა.შ. რა თქმა უნდა, პოლიტიკური პროცესები თუ მოითხოვს, ჩავერთვები, თუ ქვეყანას დასჭირდება. ნინო ბურჯანაძესთან მაქვს ძალიან მეგობრული, შესანიშნავი ურთიერთობა, რომელიც მუდამ მექნება, მაგრამ პოლიტიკური ურთიერთობა არანაირი არ მაქვს“, — განუცხადა „მეტრონომს“ ბათიაშვილმა.

— თუმცა, ბურჯანაძის პოლიტიკური გუნდიდან თქვენს ნამოსვლა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თქვენთვის ბურჯანაძის პოლიტიკური პლატფორმა მიუღებელია?

— იცით რაშია საქმე? თავის დროზე, სააკაშვილის პერიოდში, მე სააკაშვილის რეჟიმს ვებრძოდი და ამის გამო ციხეშიც მოხვდი. ვიყავი მისი დაუძინებელი მონინაღმდეგე, მაგრამ შემდეგ, რაღაც პერიოდში, ეს იყო 2010-11 წლიდან, სწო-

რედ ბურჯანაძემ და სახალხო კრებამ, სადაც შედიოდნენ ნონა გაფრინდაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, რეზო ესაძე, გია ბურჯანაძე, ლუკა კურტანიძე, სოსო ჯაჭვლიანი და სხვები, ამ ძალამ იტვირთა ფლაგმანის როლი იმ უმძიმეს პერიოდში, სწორედ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ პროცესში ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ მართლაც ძალიან დიდი როლი შეასრულა.

რა თქმა უნდა, მაშინ ამ პოლიტიკურ გუნდში ჩემი ყოფნის აზრს ვხედავდი. ახლა, მართალი გითხრათ, უბრალოდ არჩევნებისთვის, პარლამენტში მოხვედრისთვის ბრძოლის, პარლამენტის სავარძელში ჩაჯდომის არავითარი სურვილი არ მაქვს და იქ ჩემი მონაწილეობის აზრს ვერ ვხედავ.

— მე პარლამენტში ორჯერ ვარ ნამყოფი (ორჯერ ვიყავი დეპუტატი, ვიყავი სხვადასხვა თანამდებობებზე), 30 წელია, პოლიტიკაში ვარ, ახლა სხვა ადამიანებმა მიხედონ საარჩევნო საქმეს. თუ ქვეყანაში შეიქმნა ისეთი კრიტიკული ვითარება, რომ ჩემი გამოცდილება და ძალისხმევა იქნება საჭირო, მე ჩემი ქვეყნის სამსახურში ყოველთვის ვიდეგები.

— მომავალში თუ შეიქმნა მსგავსი სიტუაცია, სად შეიძლება გახილოთ, რომელ პოლიტიკურ გუნდში?

— შეგიძლიათ მიხილოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ევროპის უნივერსიტეტში და ა.შ. სტუდენტებთან!

ჯანო ერისთავი.

## ჯეჯელაძე NDI-ს კვლევებს არ ენდობა

ბანათლებლის მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელაძე NDI-ის კვლევის იმ შედეგს ეხმაურება, რომლის მიხედვითაც ინტერნეტზე წვდომა საქართველოს მოსახლეობის 32% არ აქვს, ჯეჯელაძე კვლევას უნდობლობას უცხადებს, თუმცა მიიჩნევს, რომ ზოგადად, ინტერნეტზე წვდომა უფრო მეტ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს. ჯეჯელაძის თქმით, ხელისუფლება ამ მიმართულებით მუშაობს. „სამწუხაროდ, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, კვლევის საიმედოობაზე არ მაქვს ძალიან კარგი შეხედულება. რაც შეეხება ინტერნეტის გამოყენების გაზრდას, ეს ცალსახა ამოცანაა. მოგესხენებათ, ყველა ქვეყანაში, ვინც იგივე განათლების, ან ეკონომიკის კუთხით მოინდომა და შეძლო სწრაფი გაუმჯობესება, ინტერნეტის გამოყენება პრინციპული იყო. ფაქტობრივად, ყველა მოზრდილ სოფელში ჩვენ გვექნება ობტიკური კავშირი. სხვა ქვეყნების გამოცდილება რომ ნახოთ, ასეთმა პროექტებმა ძალიან დიდი გავლენა იქონია განათლებაზე, ეკონომიკასა და სხვა სფეროებზე. პირადად, მეჩვენება, რომ მეტს უნდა ჰქონდეს ინტერნეტზე წვდომა“, — განაცხადა განათლების მინისტრმა.



## გეგმავს საარჩევნო-საგამომრჩევლო მისი

საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI) ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოში სადამკვირვებლო მისია გამოგზავნა.



არჩევნების მონიტორინგის მიზნით 14 გრძელვადიანი დამკვირვებელი 10 სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში უკვე ჩამოვიდა. ორშაბათიდან დამკვირვებლები ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისში, ახალციხეში, მარნეულში, თელავში გაემგზავრებიან. გამგზავრებამდე კი, თბილისში უ-დღიანი კონსულტაცია გაიმართება.

ისინი შეხვედებიან სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, გაეცნობიან წინასაარჩევნო გარემოს და საქართველოში არსებულ საარჩევნო კანონმდებლობას.

## „რუსული იმპერია“ მინისტრები თანამდებობებს 1 აპრილიდან დატოვებენ

„ვი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარაიშვილმა შესაბამისი განცხადებით პრემიერ-მინისტრს უკვე მიმართეს.







რამდენიმე დღის წინათ ქუთაისის შემოვლით გზაზე მომხდარმა ავტოავარიამ, რომლის შედეგადაც 3 ადამიანი გარდაიცვალა, 4 კი მძიმედ დაშავდა, დღის წესრიგში საგზაო მოძრაობის გამკაცრების საკითხი მწვავედ დააყენა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პოლიტიკოსებმა და რეგიონალური მოქალაქეებმა სოციალური ქსელის მეშვეობით შს სამინისტროს მხრიდან არასათანადო კონტროლი კიდევ ერთხელ გააპროტესტეს და უკვე მერამდენედ მოითხოვენ გზებზე უსაფრთხოების გაძლიერება.



ტო პატრულირება, რომელიც ძალიან ეფექტურად მუშაობს ევროკავშირში. არასამთავრობო სექტორი თვლის, რომ ჯობია, მიიღოს კანონპროექტი, რომელიც წარდგენილია პარლამენტში, ვიდრე ცალკე პატარ-პატარა პრევენციული ხასიათის ცვლილებები გაატარონ“ – აცხადებს იზორია.

საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი და თბილისის საკრებულოს წევრი შალვა ოგბაიძე კი მიიჩნევს, რომ რეგულაციების გამკაცრება გვიანი არასოდეს არ არის.

თუმცა, შალვა ოგბაიძე ამბობს, რომ ხელისუფლებამ ვერ გაბედა, მიეღო გადაწყვეტილება და ამოქმედებინა ცვლილებები, რომლებიც უკონტროლო პატრულირებას და ქულათა სისტემის შემოღებას ითვალისწინებდა, რაც ავტოექსპერტის აზრით, არასწორია.

„მე მახსოვს რა რეაქცია ჰქონდა ამბზე“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ აპელირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მე მახსოვს მათი შენიშვნები, რომ ე.წ. უკონტაქტო პატრულირება არის ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა. ძალიან სამწუხაროა, რომ საახელმწიფომ ვერ გაბედა იმ პოლიტიკური პარტიის შენიშვნის გადალახვა, რომლის მთელი ცხოვრების წესი იყო ფარული გადაღებები, პირად ცხოვრებაში ჩარევა და ა.შ. შედეგად რა მივიღეთ? გაუშვობესდა საგზაო მოძრაობის ინდექსი თუ გაუარესდა? რა ტექა უნდა, გაუარესდა და რაც უფრო მაღე მივიღეთ, უკეთესი იქნება საერთო საქმისათვის“, – აცხადებს ოგბაიძე.

მისივე თქმით, ზოგადად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თემები გაბნეულია სხვადასხვა სისტემაში, ესენია: ადგილობრივი თვითმმართველობები, განათლების სისტემა, გარემოს დაცვის სამინისტრო, შს სამინისტრო და ა.შ.

„შს სამინისტროს ცვლილება თავის კომპეტენციის ფარგლებში ცვლილებები შემოგვთავაზოს. ჯარიმებმა შეიძლება რაღაც დოზით შეამციროს, მაგრამ მთლიანად ვერ მოსვას ტრაგიკული შემთხვევები. სანამ მძღოლებს თავად არ შეეძლებათ საგზაო მოძრაობის წესების ადეკვატური წაკითხვა, სიჩქარის ლიმიტის დაცვა, ქვეითს რომ გზა უნდა დაუთმოს. აქ საუბარია სამძღოლო კულტურასა და ეთიკაზე“, – აცხადებს შალვა ოგბაიძე.

რა შეიცვლება საქართველოს გზებზე უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით და მოყვება თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის დაპირებებს კონკრეტული ნაბიჯები, ამის მონიტორინგს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად „კომერსანტიც“ შეეცდება და ინფორმაციას, თუ რა ვითარებაა გზებზე, პერმანენტულად მოგანვდით.

**სალაშე მიცხვარიშვილი**

# შინაგან საქმეთა სამინისტრო გზებზე კონტროლის გამკაცრებას აპირებს

სუსისმეგობლობის დეფიციტი უსაფრთხოების სფეროში? ეს ის შეკითხვაა, რომელიც ამ ტრაგიკული შემთხვევების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა და ხელისუფლება აიძულა, გარკვეული, თუნდაც დაგვიანებული ზომებისთვის მიემართა.

კერძოდ, შს მინისტრის მოადგილის შალვა ხუციშვილის განმარტებით, შემოღებულიდან ის მძღოლებიც დაჯარიმდებიან, რომლებიც სიჩქარეს მხოლოდ ვიდუროკამერასთან ანელებენ. ასევე იგეგმება სათვალთვალო კამერების დამატება. მისი ინფორმაციით, საქართველოში დამონტაჟებული კამერების უმეტესობა გამორთული არ არის, თუმცა დაახლოებით 30% -ის ფარგლებში არის კამერები, რომლებიც ან უზარისხოვან ან საერთოდ არ მუშაობს. როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, ქვეყნის მასშტაბით უკვე განხორციელდა კამერების ხელახალი აღწერა და შედეგებიდან გამომდინარე, უკვე მიმდინარეობს ახალი კამერების შეძენის პროცედურები.

მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ მსგავსმა მექანიზმმა ლატვიაში გაამართლა და დარღვევებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების 50%-იანი პრევენცია მოხდა.

**რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ საგზაო უსაფრთხოების ზომების გამკაცრება და იქნება თუ არა ეს ზომები საკმარისად მკაცრი, ქმედითი და, რაც მთავარია**

**გრძელვადიანი? ამ ფონზე, რატომ არ აბრუნებს ძველ საკანონმდებლო ინიციატივას და რატომ კმაყოფილდება მხოლოდ მისი ერთი ნაწილის ამოქმედებით?**

ფონდის „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ დირექტორის ირაკლი იზორიას განცხადებით, წლის დასაწყისში არასამთავრობო სექტორთან ერთად შემუშავებულ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ნორმების კომპლექსურ ცვლილებებს ითვალისწინებდა, საარჩევნო წლის გამო უარი თქვეს.

ირაკლი იზორია აცხადებს, რომ საგზაო უსაფრთხოების თემა არ არის პოლიტიკური და რეალურად, არჩევნების გამო ძალიან ბევრი ადამიანი ეწირება პოლიტიკური თემებით სპეკულირებას.

**„სამწუხაროა, რომ ზუსტად გასულ კვირას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ხდება ამ თემის ნამოწვევა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ პარლამენტში შესული კანონპროექტი უფრო მასშტაბური და კარგია, ვიდრე მინისტრის მოადგილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია.“**

მარტო სიჩქარეზე გამკაცრებული რეგულაციები არ შეეღობა, სხვადასხვა ეტაპებია გასაღველი, რომ მაგალითად, ურჩი მძღოლების მაქსიმალურად შეჩერება მოხდეს. უნდა შემოიღონ უკონტაქ-

## რას ვჭამთ და როგორ ვიღოსავით?

# რატომ არ არის ჩვენში განსაზღვრული საკვების რეალური ფიზიოლოგიური ნორმა?!

**ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში უხეშად ირღვევა სასურსათო უსაფრთხოების პრინციპები, სურსათის მოხმარების ნორმები და, აქედან გამომდინარე, უარესდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა.**

განსაკუთრებით დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება (ხორცის მოხმარება შემცირებულია 2,5-3-ჯერ, თევზის – 4-5-ჯერ, რძის პროდუქტების 2-3-ჯერ), პურისა და პურპროდუქტების 1,8-2-ჯერ მეტია ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით, რის გამოც საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 62% პურპროდუქტებზე მოდის (განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი საკვებ რაციონში 12-15%-ს არ აღემატება).

2003 წელს, NATO-ს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის კომიტეტმა (FAPC) საქართველოს მოსახლეობის სურსათის მოხმარების მაჩვენებლები საგანგაშოდ ჩათვალა და საგანგებოდ აღნიშნა მდგომარეობის გამოსწორების აუცილებლობა.

ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და 2003 წლის 8 მაისს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დაამტკიცა ახალი ნორმა (სადაც სურსათის კალორიული შიგნადაა შეფასებულია 2300 კკალ).

ამ ბრძანების თანახმად, ხორცის მოხმარების მაჩვენებელი 80 გრ/დღე ჩაითვალოს „ნორმად“, რომელიც 2,5-ჯერ ჩამორჩება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას (200 გრ/დღე), რძისა და რძის პროდუქტების ნორმა შემცირდა 4,5-ჯერ (!) 960 გრამიდან 215 გრა-



მამდე, ბოსტნეულის განახევრდა 370 გრამიდან 182 გრამამდე, შაქარი შემცირდა 100 გრამიდან 55 გრამამდე, ხოლო პურის მოხმარების ნორმა – 350 გრამიდან გაზრდილია 400 გრამამდე.

ამრიგად, ფიზიოლოგიურ ნორმად ჩაითვალოს მიწისაღებო საკვების ის რაოდენობა, რის მიღებასაც მოსახლეობა ასწრებდა და მოხმარების მაჩვენებელიც ახალ „ნორმებს“ დაუახლოვდა, ზოგიერთი პროდუქტისთვის გადააჭარბა კიდევ (რძე და რძის ნაწარმი).

ასე მარტივად „მოგვარდა“ სასურსათო უსაფრთხოების დარღვევის საგანგაშო მდგომარეობა, ბიუჯეტიდან ხარჯების განწესის და სათანადო ღონისძიებების გატა-

რების გარეშე და ამ ე.წ. „ნორმების“ მიხედვით, ჩვენი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების ვიზუალური სურათი „არც თუ იხე სავალალოდ“ გამოჩნდა. სასურსათო კალათაში მნიშვნელოვნად შემცირდა ძვირადღირებული პროდუქტების ჩამონათვალი და გაიზარდა შედარებით იაფი პროდუქტების რიცხვი (შ. ჩხეიძე).

სამწუხაროა, ამ „ნორმების“ გადახედვით და გამოსწორებით დღემდე არც ერთი მთავრობა არ დაინტერესებულა და სასურსათო კალათს და საარსებო მინიმუმს ამ ნორმებით ანგარიშობს (ზოგადად სასურველი იქნებოდა სურსათის მოხმარების ნორმები იცვლებოდას ზაფხულ-შემოდგომის და ზამთარ-გაზაფხულის პერიოდების და მთისა და ბარის რეგიონების მიხედვით).

ეს „ახალი სასურსათო კალათა“ 2016 წლის ივნისის მდგომარეობით 109.9 ლარის ღირებულების საარსებო მინიმუმს იძლევა, რაც მაინც მიუწვდომელია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

პრობლემის სპეციალური შესწავლით (რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ მეთოდიკას ეყრდნობა) დადგინდა, რომ საქართველოში საარსებოდ მიღებული მინიმალური ნორმის შესაბამისი სასურსათო კალათის რეალური ღირებულება 172.5 ლარია, რომელიც 36.2 პროცენტით აღემატება ოფიციალურად მიღებულ – 109.9 ლარს.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშება საქსტატის მიერ ხორციელდება ე.წ. ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე – მიჩნეულია, რომ სურსათის წილი ამ მაჩვენებელში უნდა შეადგენდეს 70 პროცენტს (რაც არასწორია, რადგან ადამიანს, როგორც გონიერ არსებას სხვა მოთხოვნებიც აქვს.





რა დაავადება სტანჯავდა დიდ აღაშიანებს

ალექსანდრ ბლოკი

ამგულაბორიული ავადმყოფის საეპიდემიო ბარათი

დიაგნოზი: ენდოკარდიტი
სამშინაობა: პოეტი
დაბადების თარიღი: 1880 წელი
გარდაცვალების თარიღი: 1921 წელი

მიივე ღრო

1917 წელი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ალექსანდრ ბლოკისათვის: ის მშვიერ ქალაქში ემებდა პროდუქტებს, ეზიდებოდა შეშას სარდაფიდან, ყიდდა წიგნებსა და ავეჯს...

1920 წლის აპრილში ალექსანდრ ბლოკი ჩანვა - ძალიან სტიკიოდა ფეხი, აუნია ტემპერატურამ, ანამებდა ციებ-ცხელება...

1921 წელს გულის დაავადებით განამებულმა ბლოკმა მიმართა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პოლიტიკოსს თხოვნით, მიეცათ მისთვის ნება, სამკურნალოდ ფინეთში წასულიყო...


სწორი დიაგნოზი

მკურნალობამ არ უშველა, ტემპერატურა კვლავ ანუხებდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი გაჩნდა ნიშნები, რომლებიც გულის შეტევებს მოგვაგონებდნენ...

მაგრამ პოეტი კვლავ უჩიოდა ქოშინს, ტკივილებს გულის არეში, შესიებას, მაღალ ტემპერატურას...

თანამედროვე მიღობა

ენდოკარდიტის დროს რეკომენდებულია ხანგრძლივი მკურნალობა გულდასმით შერჩეული ანტიბიოტიკებით...



ფიკინს ლისტი

ამგულაბორიული ავადმყოფის საეპიდემიო ბარათი

დიაგნოზი: ქრონიკული ბლევარითი, კატარაქტა
სამშინაობა: კომპოზიტორი, პიანისტი
დაბადების თარიღი: 1811 წელი
გარდაცვალების თარიღი: 1886 წელი

ასაკობრივი შორსმხედველობის გამო ლისტს გაუჩნდა ჩვევა, დაუკრას როიალზე ნოტებში ჩაუხედავად...

სათვალაუბრი და წვთები

მუსიკოსი არასოდეს უჩიოდა ჯანმრთელობას და ექიმს პირველად 69 წლის ასაკში მიმართა - გაუჩნდა ქოშინი და გაუძნელდა სიარული...

ოპერაციამდე ვერ იმყოფებოდა

ამ დროს მხედველობამ ელვისებური დაცემა დაიწყო და მივიდა იქამდე, რომ ლისტს უკვე ჭამაც აღარ შეეძლო...

1886 წლის დასაწყისში გასაგები გახდა, რომ საჭიროა ოპერაცია. იგი დანიშნეს სექტემბრისათვის, მანამდე კი ლისტმა დაგეგმა დიდი ტურნი...

თანამედროვე მიღობა

ბლევარითს წარმატებით, თუმცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, კურნავენ ანტიბიოტიკებით (თვალის წვეთებისა და საცხების სახით)...

C ჰეპატიტის

განსაკუთრებით

განსაკუთრებით 92 პროცენტია

პრევიენტი-მინისტრმა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაზე ისაუბრა და სამაგისტრო უნდა...

„28 ივლისი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაცხადა ჰეპატიტის დღე...

პროგრამის სტატისტიკაზე ისაუბრა ჯანდაცვის მინისტრმა და აღნიშნა, რომ 5 ათასზე მეტმა პაციენტმა მკურნალობა უკვე დაასრულა...

„პოლიტიკური მდგომარეობა - ეს გახდა მთავარი წინაპირობა, რომ დაიწყო პროგრამა და ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, რომ შარშან აპრილიდან დღევანდელი დღის ჩათვლით, 14 ათასზე მეტი ადამიანი ჩაერთო ამ პროექტში...

მოვსენით ყველა კრიტიკიუმი - სიმშინის, რაიმე რისკგულუის და მნიშვნელოვნად გაზარდეთ პაციენტების ნაკადი...

უნებრითი საპარტიკო

წყალმომარაგების

პროექტებით დაინტერესდა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრს პეტერ სიარტოს და უნგრეთის ელჩს საქართველოში შანდორ საბოს შეხვდა...

ნოდარ ჯავახიშვილმა სტუმრებს სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიანოდა და მიმდინარე და სამომავლო ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო...

რას ვჭამთ და როგორ ვიმოსავით?

რატომ არ არის ჩვენში განსაზღვრული საკვების რეალური ფიზიოლოგიური ნორმა?!

განვითარებული მსოფლიოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია, რომ ეს მაჩვენებელი საარსებო მინიმუმში 15-30% ფარგლებში უნდა მერყეობდეს...

ეს ნიშნავს იმას, რომ რეალური საარსებო მინიმუმის ღირებულება - 246.4 (172.5+73.9) ლარი, 1.56 ჯერ მეტი იქნება დადგენილ - 157.1 (109.9+47.2) ლარზე თვეში...

830 ევრო, აშშ-ში 902,5 დოლარი, ნორვეგიაში - 2100 ევრო).

2006 წლის შემდეგ საარსებო მინიმუმის ამჟამად მოქმედ მეთოდოლოგიაზე გადასვლისას მყისიერად, 30 პროცენტით შემცირდა მისი ღირებულება (დაბალანსებული კვების რაციონის ნაცვლად ნორმატიული ბაზაში შეტანილია შედარებით ნაკლებად ღირებული საკვები პროდუქტები)...

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საარსებო მი-

ნიმუში სურსათისა და დანარჩენი სამომხმარებლო საქონლის თანაფარდობა პროპორციით 0.7/0.3. ეს პროპორცია სასწრაფოდაა შესაცვლელი - მკვეთრად უნდა შემცირდეს სასურსათო კომპონენტის წილი და გაიზარდოს არასასურსათო კომპონენტის წილი...

აღნიშნული ცვლილებით საარსებო მინიმუმის ღირებულება საგრძნობლად მიუახლოვდება მის ფაქტობრივ დონეს, ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება აგრეთვე ამჟამად კატასტროფულად დაშორებული, საარსებო მინიმუმისა და „სიღარიბის“ ცნებათა შინაარსობრივი დაახლოებისკენ.

პაატა კოლუაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი



დაბადების დღეები სტალინის ოჯახში

მამუშრებლები - ბავშვებიც და უფროსებიც, ყველანი ჩვენი შინაურები იყვნენ, მათთან ერთად იყო ვასილის მამაც...

სხვა დროს რელიგიაზე სტალინის გადაკვრითაც კი არასოდეს არაფერი უთქვამს, მაგრამ, მაშინ ზუსტად აგვიხსნა, როგორი ძუნწი და ხარბი იყო სტალინი, ხოლო ბაბა, როგორი ჭკვიანი და მოხერხებული გვითხრა...

სვეტლანა შვიდი წლის რომ გახდა, ნადეჟდა სერგეევნა უკვე ცოცხალი აღარ იყო. სახლში, შინაურების გარდა, კიდევ რამდენიმე ბავშვმა მოიყარა თავი. ნადეჟდა სერგეევნას ნათესავი - ალექსი სიმონის ძე სევანიძე - გერმანიაში სავაჭრო წარმომადგენლად მუშაობდა და სვეტლანას იქიდან საჩუქრები ჩამოუტანა...

ერთხელაც, დაბადების დღეზე ზუბალოვოში თავი ისევ ნათესავებმა და ბავშვებმა მოიყარეს. სვანიძის ვაჟი შვილი, ვისაც სახელად ჯონიკს ეძახდნენ (ეს ბავშვი მაშინ დაახლოებით ათი წლის იყო), ძალიან ბევრს ლაპარაკობდა ისეთ საგნებზე, სრულიად შეუსაბამო რომ იყო მისი ასაკისათვის...

ჯონიკის დედა - მარია ანისიმოვა შეცბა: „არა, რას ბრძანებთ?! რას ბრძანებთ, იოსებ! ბავშვს უნდა ასტრონომი გამოვიდეს, ვარსკვლავების შესწავლის, თქვენ კი...“ სტალინი, აქაოდა ვითომ ვერ გავიგეო, ისევ მზარეულის პროფესიას აქებს და - თუ გინდა, ამის შესახებ ჩვენს ძვირფას ანასტას ივანეს ძე მიქოიანს ჰკითხე, ამ საკითხზე, ანუ კვების მრეწველობაზე ის ძალიან დიდი ობიექტი მუშაობს...

ისინი რომ წავიდნენ - აი, ნამდვილი გრამაფონი ეგ იყო, მომართეს და ისიც უკრავს და უკრავს შეუჩერებელივით... - თქვა სვეტლანას მამამ.

„ზამბრა“: თვითონ სტალინის დღეს როგორ აღნიშნავდა ოჯახი?

ა.ს. ყველაფერი ჩვეულებრივ იყო, ყოველგვარი ზეიმურობის გარეშე, მხოლოდ ცოტა რამ დაემატებოდა ყოველდღიურს, სულ რაღაც პატარა დეტალი. ოდნავ განსხვავებული იყო საუბარიც, მაგრამ, არაფერი განსაკუთრებული. ამიტომაც რაიმე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი გონებაში არაფერი ჩამრჩენია...

რაზეც სტალინიმ ასე უპასუხა: „რუსეთში მხოლოდ პროლეტარები და ბურჟუები არ არიან, აქ ბევრი სხვაც ცხოვრობს, - თქვა და დასძინა, - ისეთი, როგორიც ლეშჩენკოა, არიან, აი, ვერტინსკი კი ერთია...“ მისი ეს სიტყვები ახლაც კარგად მახსოვს.

განსაკუთრებული მზადება არც მაშინ ყოფილა, როცა 1934 წელს სტალინს ორმოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა. არ ყოფილა არავითარი ორგანიზებული დღესასწაული. უბრალოდ, თავი ცოტა უფრო მეტმა ადა...



უსწოპი ბენერკლისიუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება



სწორედ სურვევის მოგონებები

ე. გლუშკინა და ო. სტრალცოვას განსაკუთრებული მადლობა

მიანმა მოიყარა. გარდა ნათესავებისა, იყო ლაკობა - აფხაზეთის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. მასთან სტალინი ძალიან მეგობრობდა...

თვითონ სტალინი თუ ცეკავდა? - დიახ, ცოტას თუ წაიცეკვებდა... ბუდიონი, როგორც წესი, ყოველთვის იყო სტალინის დაბადების დღეზე. ის გარმონსა ან ბაიანზე უკრავდა, უდანოვი როიალზე...

იყო მაგიდაზე რაიმე განსაკუთრებული საქმელი? - სტუმრები თუ არ იყვნენ, მაგიდაზე ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, მაგრამ სტუმრები თუ მოვიდოდნენ, ცოტა რაღაც დაემატებოდა ხოლმე...



სვეტლანა, ბერიკა, სტალინი და ლაკობა ბელადის აბარაკაჟი

კაკლის მურაბა, რომელსაც ადრე დედა უგზავნიდა - აი, ეს ნამდვილად უყვარდა, მაგრამ, სტალინს ეს უყვარს, მისთვის ეს აუცილებლად უნდა მომზადდეს...

თუ მუშაობდა საკუთარი დაბადების დღესაც?

დიახ, ის ყოველთვის მუშაობდა. სადღესასწაულო მაგიდასთანაც კი საუბარი ძირითადად საქმიანი იყო...

იყო მისი საპატივცემულო სადღეგრძელოები?

იყო. მაგრამ, მაღალფარდოვან ლაპარაკს რომ დაიწყებდნენ, ქებას რომ მოჰყვებოდნენ, დასცინებდათ, ხუმრობაში გაუტარებდათ...

სადღეგრძელოები ცარიელი სიტყვები კი არა, აზრებით იყო დატვირთული; თითოეულს როგორიღაც განსაკუთრებული სიტყვებს უსადაგებდა, თითოეულისთვის...

განსაკუთრებულ სიტყვებს პოულობდა, არადა მხოლოდრავ-დამრიგებლურს, არამედ საქმიანს. უბრალოს და სასიამოვნოს. ზოგჯერ ადამიანს მის ნაკლოვანებაზე იუმორით მიანიშნებდა...

დაბადების დღეებზე სტუმრებს პატივებდნენ თუ თვითონ მოდიოდნენ დაბატიყების გარეშე? ლაკობას, ბუდიონსა და უდანოვის გარდა, იქ კიდევ ვინ გახსოვთ?

დაბადების დღეებზე ხალხი ზოგჯერ ძალიან ცოტა იყო, ოჯახის წევრების გარდა, სულ რამდენიმე ადამიანი. უფრო მეტად პოლიტიბუროს წევრები მოდიოდნენ. პატივებდნენ თუ არა, არ ვიცი, რაღაც ფორმით, მგონი, მაინც პატივებდნენ.

საჩუქრებს თუ სჩუქნიდნენ?

არა, საჩუქრები არ ყოფილა, არავითარი! ყველამ იცოდა, რომ ეს არ უყვარდა. არ ვიცი, შეიძლება იმითომ, რომ იცოდა, ამა თუ იმ ფორმით საჩუქარზე საჩუქრით უნდა ეპასუხა, ანდა შეიძლება დარწმუნებული არ იყო...

ბავშვები თუ სჩუქნიდით რაიმეს?

ერთხელ, მისი დაბადების დღისთვის პიესა მოვამზადეთ, კიდევ რაღაც პატარა-პატარა ნივთები ჩვენი ხელით გავაკეთეთ. ბამბუკისგან ყალიბიც გამოვთვა...

„ზამბრა“: როგორ აღნიშნავდნენ მისი დაბადების დღეს ქვეყანაში? იყო პრესაში მილოცვები? თავის დაბადების დღეზე ზეიმად ხომ არ მიიჩნდა როგორც თავისთვის, ისე ქვეყნისთვის?

იყო. წაიკითხავდა გაზეთში მილოცვას და გაუკეთებდა იუმორისტულ კომენტარს. მილოცვები კი არ ახარებდა, დებულობდა როგორც აუცილებელ რიტუალს...

მოხდა ერთი საინტერესო რამ. 1948 წლის 23 თებერვალს საბჭოთა არმიის იუბილეს აღნიშნავდნენ, დიდ თეატრში საზეიმო სხდომა ტარდებოდა, მაგრამ, დამსწრეები ჯარზე კი არ ლაპარაკობდნენ, სტალინს აქებდნენ და სტალინს ულოცავდნენ...


იქნებ ამ დღეს მაინც ეცვა სუფრასთან ცოტა განსხვავებულად?

ტანსაცმელი ყოველთვის ერთნაირი ეცვა - რბილი, მსუბუქი ჩექმები, ჩექმებში ჩატანებული სწორი შარვალი, ყელამდე შეკრული ქურთუკი ან ფრენჩი. ყველაფერი უბრალო და მოსახერხებელი...



© ო, ენავ, ჩვენი

# შესაბამისობაში მოიყვანოს თუ შეუსაბამოს?



**წინაშე** კანონთან ერთად გამოქვეყნებულ დადგენილებაში მისი ამოქმედების შესახებ ერთ-ერთი დავალება დაახლოებით ასე ყალიბდებოდა: ამა და ამ სამინისტრომ (უნაწევრად) თავისი ნორმატიული აქტები შეუსაბამოს კანონს... ან უზრუნველყოს, რომ ნორმატიული აქტები შეესაბამებოდეს კანონს... ან, უზრუნველყოს ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობა და სხვა.

რგა ხანია) ამოვიჩემეთ რუსული გამოთქმის „привести в соответствие“-ს ფორმა და დაუფიქრებლად ვნერგავთ მას მეტყველებაში: „გარინოუქისა და მისი შვილობილი (შვილეული) ავტ.) კომპანიების მიერ დადებულ... ხელშეკრულების სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან“... „პროექტის - მუხლი შეუსაბამოა... კანონის „პუნქტის მოთხოვნებთან“; „კოდირების ეროვნულ სისტემასთან... ინდიკატიური (ინდიკატორული) ავტ.) „პირველი“ დი სტატისტიკური აღრიცხვა შესაბამისობაში მოვა... წესებთან“; „კანონი შესაბამისობაში არ მოდის კონსტიტუციასთან“ (ოფიც. დოკ.); „მერიას სჭირდება თანამშრომლები, რომლებიც კანონის შესაბამისობაში (!) იმუშავებენ (შდრ. „ამის საფუძველი... უნდა ვეძიოთ... ქართული წარმოთქმისა და დამწერლობის (ზეპირი და წერილი) მეტყველების) ტრადიციად დამკვიდრებულ მაქსიმალურ შესაბამისობაში“. იხ. ავთანდილ არაბული, „ქართული მეტყველების კულტურა“, თბ. 2005 - გვ.20).

ეფარდება, შეესაბამება და სხვა. - ამდენი სათანადო სიტყვა ჰქონდეს ენას და ამოიჩემო ერთი უხვირო კალკი, ვერაფერი შვილი შენაძენია. ტრადიციას რომ არ ვუღალავტო, შემოგთავაზებთ მსგავს წინადადებათა გამართვის ორიოდ ნიმუშს: „ცეკავშირმა, მისმა კოოპერაციულმა ორგანოებმა, საზოგადოებებმა... თავიანთი წესდებები შეუსაბამონ კანონს სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“; რათა ჩემი კონცეფცია მათი დახმარებით დაეხვეწო და შეუსაბამო კონსტიტუციასა და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტს“; „ყველა უნაწევრად უზრუნველყოს თავიანთი წინადადებათა სრული შესაბამისობა „ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების“ (BDD) და ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის“ (MTF) დოკუმენტებთან“; „მრავალი მუხლი კანონთან შეუსაბამოა გამოამოღებულობა“ და ა.შ. დასკვნა: ამოვიღოთ ხმარებიდან ქართული ენისათვის უცხო ფორმა „შესაბამისობაში მოყვანა“ და ვწეროთ ისე, როგორც ჩვენი ენის შესაბამისი ნორმები მოითხოვენ.

ოთარ კახანაძე

## ჩვენი მემკვიდრე კატები

# ქორნილი 1000 კატის თანხლებით

კატები, ისევე როგორც ძაღლები და ცხენები, უხსოვარი დროიდან განუყრელად მეგობრობენ ადამიანებთან. მეცნიერული კვლევების თანახმად, კატა ძველ ეგვიპტეში 5 ათასი წლის წინათ მოიშინაურეს და გააღმერთეს. არც მოტყუებულან. ფსიქოლოგებს თუ დაეუჯერებთ, იმ ოჯახებში, სადაც კატები ჰყავთ, ადამიანები დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობენ.

მისთვის ნაცნობ გარემოში ორიენტაციის უნარს არადა კატას სწორედ ამ უნარით არის ცნობილი, მას შეუძლია დიდი მანძილი და შორეობის შემთხვევაშიც კი მიაგნოს მისთვის სანუკვარ სახლს.



ზოგი ფიქრობს, რომ კატებს აქვთ შინაგანი კომპასი, რომლის წყალობითაც ისინი გრძობენ დედამიწის მაგნიტურ ველს და მინისძვრის მოახლოებას.

დღეისათვის მსოფლიოში აღრიცხულია კატის 200-ზე მეტი სახეობა. როგორც მტაცებელ ცხოველთა უმრავლესობას, კატებს აქვთ სტერეოსკოპული მხედველობის უნარი და სხეულის ზომასთან შედარებით ყველაზე დიდი თვალები, თუმცა, იმის გამო, რომ მათი მხედველობა უმთავრესად გათვლილია ღამის ცხოვრებაზე, ისინი ფერებს ცუდად არჩევენ. ისინი ძირითადად ორენტირებული არიან მოძრავე სხეულებზე და ახლოს მყოფ უძრავ სხეულს ცუდად აღიქვამენ.

კატებს კარგად აქვთ განვითარებული დროის შეგრძნება, რასაც ისინი აღწევენ ეგრეთ წოდებული შინაგანი ბიოლოგიური საათის წყალობით. არაა გამორიცხული, რომ მათ ჰქონდეთ (თუმცა ჯერ კიდევ მეცნიერულად შეუწავლელია) ტელეპათიური უნარიც.

მოფერებით ადამიანი მშვიდება და ტკივილიც თითქოს თავისით უქრება.

დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოში მოარულ ზღაპრულ ამბებთან ერთად ამ ჩვენს მეგობარ კატებზე რას აღარ გაიგებთ. ამას წინათ ცხოვრების მოყვარულმა კანადელმა წყვილმა გადაიხადა ქორნილი, რომელსაც 1000 კატა ესწრებოდა. დომინიკ იუსონი და ლუზი ვერონი კვებევიდან სპეციალურად კალიფორნიაში ჩავიდნენ, რათა კატების თავშესაფრის დამარსებელი ლინეა ლატანციო საქორნილი ცერემონიაში კატების მონაწილეობაზე დაეყოლიებინათ. და განა მარტო ეს? ამერიკაში ისიც არავის გაკვირვებია, როცა მერილენდის შტატის მცხოვრებმა, 17 წლის სემ სტანინგარდმა, რომელიც გამოსაშვები საღამოსთვის პარტნიორი გოგონას გარეშე დარჩა, წვეულებაზე საკუთარი კატა წააბრძანა. ჩვენთან ასეთი წვეულებები ჯერ არ გამართულა, მაგრამ, ფაქტია, კატებს საქართველოშიც უამრავი თავყვანისმცემელი ჰყავთ.

მომამზადა ზურაბ კილასონია

მხედველობისგან განსხვავებით, კატებს სმენა უკეთესად აქვთ განვითარებული. მათ შეუძლიათ, განასხვავონ ბგერები 10-დან 100 000 ჰერცამდე ფარგლებში (ადამიანის ყური მხოლოდ 20-დან 20 000 ჰერცის ფარგლებში აღიქვამს). ამის წყალობით ისინი რეაგირებენ ისეთ ძლიერ გასაბნობ ბგერებზეც კი, როგორცაა, მაგალითად, თავგების ფხაჭუნის ან მისაპარად მიმავალი ძაღლების თავების ხმაური.

კატები ძირითადად იკვებებიან ხორცი, ურომლისოდაც ისინი სრულყოფილად ვერ ნაყრდებიან. ოჯახის კატა, როგორც წესი, ეჩვენა ადამიანის საკვებს, რაც მასზე არც თუ დადებითად მოქმედებს და მასში ხშირად იწვევს ადამიანის მსგავს დაავადებებს - თირკმლის ქვა, გულის დაავადება, სიმსუქნე და სხვ.

კატის ცხოვრების სტილი ასეთია: მას დღე-ღამეში სძინავს 18 საათი, 2 საათს ანდომებს ბანაობას, 2 საათს - ჭამას და ამდენივეს - ნადირობას. მას ძალიან უყვარს მოფერება და ალერსი, რაც თავის მხრივ სასიკეთოდ უზრუნველბა ადამიანს ყველასთვის ცნობილია, კატის

აღქმის ორგანოთა შორის კატისთვის მთავარია უღვაშები, რომლის საშუალებითაც ის ახერხებს ღამის პერიოდში ორიენტირებას. თუ მას უღვაშებს შევაჭრით, ის დაკარგავს

**სანთელი**

თემურ მურღულია, თენგიზ ქავთარაძე, მიხეილ სალაძე სამიმარს უცხადებენ ალექო მიქაბერიძეს დედის ნორა ფრანგიშვილი-მიქაბერიძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

თამარ, მირზა ქორქაშვილები შვილებით - გიორგიტო და ქეთით, თანაუგრძობენ ახლო მეგობარს ალექო მიქაბერიძეს და მის დიდ ოჯახს ძვირფასი დედის ნორა ფრანგიშვილი-მიქაბერიძის გარდაცვალების გამო.

## იველია, პაპუაშვილი სსპ მოსამართლეებს მიუბაძვს...



იუსტიციის მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე კოლეგებს მიუბაძვს და საგამოძიებო ორგანოში მივა.

„ძალიან მიხარია და მივესალმები იმ ფაქტს, რომ მოსამართლეებმა მიიღეს შესაბამისი ზომები, მათ გაუჩნდათ დროც იმისთვის, რომ პროკურატურასთან პირდაპირი კავშირი დაამყარონ და საგამოძიებო ორგანოებს მისცენ საშუალება, მიიღოს ის ინფორმაცია, რაზეც საუბრობს გიორგი პაპუაშვილი.“

დღემდე, ჩვენ ვერ მოვისმინეთ ჯერჯერობით ვერც ერთი მოსამართლის განცხადება, თუ რა ტიპის, სად, ვის მიერ, რამდენჯერ, რა მიზნით, ხორციელდება ეგრეთ წოდებული ზენოლეზი. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ინფორმაციას კონკრეტული და არა ზოგადი განცხადებებით მიიღებენ საგამოძიებო ორგანოები და შეძლებენ, ეფექტურად წარმართონ გამოძიება, რომელიც, სხვათა შორის, უკვე არის დაწყებული. მათ შორის, გიორგი პაპუაშვილიც, დიდი იმედი მაქვს, მივა მისი კოლეგების მსგავსად საგამოძიებო ორგანოში, რადგან როგორც ჩანს, ის არის ის ერთ-ერთი თუ არა, ერთადერთი ადამიანი, ვინც უნდა ფლობდეს ინფორმაციას, რომელზეც განცხადებებს აკეთებს“, - განაცხადა ნულუკიანმა.

## სარეცხ ფხვნილს კუსტარულად აეზაღებენ

სამართლიანად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოვლენილია სხვისი სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენების ფაქტი და აღნიშნული ბრალდებით დაკავებულია საქართველოს სამი მოქალაქე.



სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, - გადირ ახმედოვი, ოქტაია მამედოვი და ალი ნურიევი საქართველოს ტერიტორიაზე იაფფასიან სარეცხ ფხვნილს კუსტარული წესით ამზადებდნენ და ათავსებდნენ ცნობილი ბრენდების, „PESIL“-ისა და „ARIEL“-ის პაკეტებში შემდგომში რეალიზაციის მიზნით. საგამოძიებო სამსახურის მიერ, კუსტარულად მოწყობილი საწარმოებიდან ამოღებულია დიდი ოდენობით, სარეცხი საშუალებები.

## საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა



შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში მოქალაქემ სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა.

სულ ჩაბარებულია 7 500 საბრძოლო ვაზნა, 11 მჭიდი, კალაშნიკოვის კონსტრუქციის ტყვიამფრქვევი, „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, „ა-კა 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მსხვერველადი ყუმბარის 6 საბრძოლო ფალა, „ეფ-1“-ის ტიპის მსხვერველადი ხელყუმბარის 9 კორპუსი და „ერ-კა-გე-3“-ის ტიპის კუმულატიური ხელყუმბარა ამფეთქით.

## მინისტრმა აჭარის რეგიონში


გუშინ მინისტრმა იყო საქართველოში. სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მინისტრის ეპიცენტრი ქობულეთიდან სამხრეთით 3 კმ-ში, სოფელ ზედა აჭყვანაში იყო. მინისტრმა 9:27 საათზე მოხდა და მისი სიმძლავრე 3,7 მაგნიტუდას შეადგენდა.

ყურადღება!

„ლიტერატურული ბაზრობა“

თქვენი პუბლიკაცია ჩვენს გაზეთში!

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინვესტის ნაწარმოებების მიღებას ახალ საინფორმაციო-სარეკლამო პროექტ „ლიტერატურულ ბაზრობაში“ მონაწილეობისათვის.



ვინც პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, პუბლიცისტებს, რომლებსაც სურთ, გამოაქვეყნონ თავიანთი ნაწარმოებები „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, განათავსონ ინფორმაცია ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე.

„ლიტერატურული ბაზრობა“ გამოდის კომერციულ საფუძველზე, რაც ავტორს საშუალებას აძლევს თავად განსაზღვროს პუბლიკაციის მოცულობა.

შეფასებები მითითებულია „საქართველოს რესპუბლიკის“ საიტზე. ნაწარმოებები უნდა გამოიგზავნოს განყოფილებაში „ლიტერატურა“ ელექტრონულ მისამართზე sakresp@mail.ru შენიშვნით წერილის თემაზე „ლიტერატურული ბაზრობა“.

რა თქმა უნდა, მსურველებს შეუძლიათ, რომ რედაქციაშიც მოხარდნენ.

ჯასების ნიხრი ასეთია:

- ლექსის სტრიქონი — 1,5 ლარი,
- მოთხრობის ერთი კომპიუტერული გვერდი — 30 ლარი,
- პიესის თითო კომპიუტერული გვერდი — 20 ლარი,
- პუბლიცისტური წერილის გვერდი — 25 ლარი,
- ცნობა ახალი წიგნის გამოსვლის თაობაზე — 15 ლარი,
- რეცენზიის ერთი კომპიუტერული გვერდი — 25 ლარი.

შემოსული ნაწარმოებები დაიბეჭდება ყოველ შაბათს სპეციალური ჩანართის სახით.

პრისკაპოვის გზით



ირანში მიაჩნიათ, რომ კრიზისის დროს პარლამენტის დეპუტატებს მცირე ხელფასი უნდა ჰქონდეთ, გაჭირვებული ხალხი კი დახმარებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა იღებდეს. 2013 წელს მსოფლიო მასშტაბის საშუალებები ირანის ყოფილი პრეზიდენტის მამამედ აშმადინეჯადის ფოტომ მოიარა, რომელიც სამსახურამდე...

ჩვეულებრივად სარეზოლუციო მგზავრობდა. აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ჯერ კიდევ სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნისას, უარი თქვა ხელფასზე და პირადი დანაზოგით ცხოვრობდა, გადადგომის შემდეგ კი პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუბრუნდა. როგორც ყოფილ პრეზიდენტს, სახელმწიფო მას მცირედ დახმარებას – თვეში 200 ამერიკული დოლარის ეკვივალენტ თანხას უხდის... ბატონი აშმადინეჯადი ერთი ჩვეულებრივი სახლის პატრონია – ბალით და ბოსტნით, სადაც პომიდვრები ურგია.

ამჟამად, უსაფრთხოების მოსაზრებით, ყოფილ პრეზიდენტს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა აუკრძალეს და იგი ძველი ავტომანქანით გადაადგილდება, რომელიც მემკვიდრეობით მშობლებისგან ერგო.

ღიაბეტის პრეზიდენტი სიკაით

შვედმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სისხლში შაქრის მაღალი შემცველობა თავის ტვინს სიმსივნეებისგან იცავს. სისხლში გლუკოზის მაღალი შემცველობა თავის ტვინში ახალი წარმოქმნების განვითარების ალბათობის 50 პროცენტს ამცირებს.

მეცნიერები აცხადებენ, რომ ესაა ორგანიზმზე ღიაბეტის დაღებიანი ზემოქმედების ერთადერთი მაგალითი, სხვა შემთხვევებში კი ის მასზე დამანგრეველად მოქმედებს.

როსა კლიან სხელა...

სიცხე ადამიანებს აგრესიულობას ჰმატებს. მკვლევარებმა ქუჩაში სიცხესა და დამნაშავეობის დონეს შორის კავშირი დაადგინეს. ეკვატორის სიახლოვეს კანონდარღვევათა რიცხვი მკვეთრად მატულობს.

მეცნიერებმა ვარაუდი გამოთქვეს, რომ სიცხის გამო ადამიანის სისხლში ადრენალინის დონე იწვევს და ისინი უფრო ადვილად ლიზიანდებიან.

„ღიან ღიან“ სარგებლიანობა

თეზის დიეტა, თურმე... ინფარქტისგან გვიცავს. ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ დიდი ოდენობით ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავების მოხმარება ინფარქტის საფრთხეს, საშუალოდ, 10 პროცენტით ამცირებს.

მანამდე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თევზისა და ზღვის პროდუქტების მოყვარული ადამიანები ჩვეული რაციონის ტრფიალებზე საშუალოდ 30 პროცენტით მეტს ცოცხლობენ.

მოძრაობა... ქიჟოს წინააღმდეგ

აღამიანებს, ვინც თავისუფალ დროს აქტიურად ატარებს, კიბოს წარმოშობის საფრთხე მნიშვნელოვნად უმცირდება.

იმის დადგენა ამერიკის შეერთებული შტატების ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის მეცნიერებმა უახლესი გამოკვლევის შედეგად შეძლეს.

თავისუფალ დროს ფიზიკურ აქტივობას უზრუნველყოფს სეირნობა (როგორც ფეხით, ასევე ველოსიპედით), ცეკვა, ბაღში მუშაობა, შორეული ლაშქრობა, ცურვა.

აღსანიშნავია, რომ ზრდასრული ადამიანისთვის რეკომენდებული დატვირთვა 22 წუთია, ნორმა კი 45 წუთს შეადგენს. მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ დედამიწის მოსახლეობის 31 პროცენტი აუცილებელზე ნაკლებს მოძრაობს.

ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ფიზიკურად აქტიურ ადამიანს კიბოს წარმოშობის რისკი 7 პროცენტით ნაკლები აქვს. თუკი კიბოს ნაირსახეობაზე მივსვით, მეცნიერები აცხადებენ, ფიზიკური დატვირთვა 10 პროცენტით ამცირებს ქუჩის კიბოს წარმოშობას, 13 პროცენტით – შარდის ბუშტის, 16 პროცენტით – მსხვილი ნაწლავის, 21 პროცენტით – საშვილოსნოს, 22 პროცენტით – კუჭის, 23 პროცენტით – თირკმლების, 26 პროცენტით – ფილტვების, 27 პროცენტით – ღვიძლის, 42 პროცენტით – საყლაპავის.



ანაკლოტავი

ციხის კამერა. ერთი პატიმარი მეორეს მოუთხრობს თავის პირად ცხოვრებაზე: — ო, როგორ გავერთეთ მე და ჩემი ცოლი ზღვის პირას, იქ ისეთი თბილი თეთრი ქვიშაა, ვითამაშეთ, ჯერ ცოლმა ჩამმარხა, შემდეგ კი — მე. ეჰ, მომენტარა, რომ გავალ, აუცილებლად ამოვთხრი.

მეზრეული საპარკმახეროში შევიდა: — როგორ იწებებ თმის გაკეთებას? — უფასოდ მიჩვენებ, მაგალითად.



დედაბრები ტრახანობენ: — ოთხმოცი წლისა ვარ და გაზეთს უსათვალოდ ვკითხულობ. თფუ, თფუ, თფუ! თვალი არ მეცეს! — ოთხმოცდაათი წლისა ვარ და ჯერ კიდევ ქალიშვილი ვარ. თფუ, თფუ! თვალი არ მეცეს!

„მწანაეზი“ მალაღმთიან სოფელში მწყემსებს არიგებენ: — მგლები არ უნდა მოკლათ, ძალიან დაზარალებდა ბუნება, ეკობალანსი დაირღვევა. თუ მოვა — დაიჭირეთ, დაკოდეთ და ისევ ტყეში გაუშვით. — თქვენ სულ გაუფშტვინეთ, ჯოო! — აყვირდა ერთი მწყემსი, — დაგვოდოთ რა, ცხვრებ გვიჭამს, კი არ აუპატიურებს.

ტიპს არასრულფასოვნების კომპლექსი აქვს, ფსიქოლოგთან მივიდა, მან კი უჩიოა: — გაშიშვლით და სადარბაზოსთან დადევით. მეორე დღეს ასე მოიქცა. ხედავს, ბაზრიდან ქალი საყიდლებით დატვირთული მოდის, ბადურებიდან თევზის ბოლოები, მწვანელი და ქათმის ფეხებია გამოშვრალი. შიშველი მამაკაცის დანახვაზე ქალი შეჩერდა, კარგა ხანს უყურა და შემდეგ თავში ხელი შემოირტყა: — დასწყევლოს ღმერთმა, კვერცხების ყიდვა დამავიწყდა.

\* \* \* — ეძიებო, ჩემ ცოლს ინტიმურ ადგილზე წითელი თმა აქვს. — არ გადამრიო, სულ წითელი? — ხო, ექიმო. — ეგ ვერაა კარგი საქმე, მაგრამ კაცმა რომ თქვას, შენ რამეს გიშლის ეს ამბავი? — მე არაფერს ექიმო, ძმაცალები დამცინიან.

**უსსოპი პალტის ქარსი:**  
 აშშ ფოლარი - 2.345; პარო - 2.58;  
 ბრიტანული პირანა სტარლინი - 3.07;  
 100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;  
 აზერბაიჯანული მანათი - 1.471;  
 1000 სოფსური ღრამი - 4.92

**აიონი 29 ივლისისთვის**

აქტიურობის საპრომოქო:	პარი - ღამე +15, დღე +29
პირველი რაიონი -	ღამე +13, დღე +27
დასავლეთი საპრომოქო:	
პარი -	ღამე +16, დღე +30
პირველი რაიონი -	ღამე +13, დღე +30
თბილისი:	ღამე +20, დღე +27

**დაგვიკავით, მოგვწერეთ:**  
 ტელ: 293-13-34, 599-79-76-79  
 WWW.SAKRESP.GE

**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**  
 სულხან-საბას ძ. №3

---

მთავარი რედაქტორი  
 სპარტაკ ძოგულია  
 293-13-34  
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
**გურამ გომიავილი**  
 599 53-76-16;  
**ალეკო ასლანიშვილი**  
 599 56-81-86;  
**რუსლან რუსია**  
 599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი  
**გამყა ვაშაქიძე**  
 514 33-33-24

---

**გამომცემლობა:**  
 შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79  
 შპს „ახალი საუკუნე“  
 იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“  
 რკინიგზის ჩიხი №20

---

uac(უაკ)070.4(479.22)  
 ს-323  
 ISSN 2233-3851

9 772233 385001

---

**ავტორთა საჩუქრადღეოდ!**  
 რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**ყოველი ნომრის შიგნით**  
**თქვენ აქლიარაბთ 100 წლის „საქართველოს რესპუბლიკას“ გმადლობთ!**